

რექტორი, პროფესორი მ. ფირცხალავა

მედიცინის ფაკულტეტის დებულება

მუხლი I. ფაკულტეტის სტატუსი

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში “უნივერსიტეტი”) მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში “ფაკულტეტი”) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას მედიცინის სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას, ასევე ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს მედიცინის მიმართულებით.
2. ფაკულტეტი ვალდებულია სტუდენტს და ფაკულტეტის პერსონალს შეუქმნას საუკეთესო პირობები სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების საფუძველზე, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი.
3. ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, უნივერსიტეტის წესდების, დებულების, შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე. ფაკულტეტის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. ფაკულტეტს აქვს მრგვალი ბეჭედი.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება, საქმიანობის მიზნები და საფუძვლები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს მედიცინის ფაკულტეტის სტატუსს, ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- ა) შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - დიპლომირებული მედიკოსის მომზადება.
- გ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება. საგანმანათლებლო პროგრამებისა და გეგმების შედგენა, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან.
- დ) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრირებაში ხელის შეწყობა და ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა;
- ე) სასწავლო დეპარტამენტების საგანმანათლებლო, კვლევითი და პრაქტიკული (კლინიკური, ლაბორატორიული და სხვა) მუშაობის კოორდინაცია;
- ვ) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების შექმნა და განვითარება; სახელმძღვანელოების მომზადების და გამოცემის ხელშეწყობა;
- ზ) აკადემიური პერსონალის პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

2. ფაკულტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, დებულებითა და წინამდებარე დებულებით, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

1. ფაკულტეტი შედგება საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სასწავლო, კლინიკური და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებია:
 - ა) ფაკულტეტის საბჭო;
 - ბ) ფაკულტეტის დეკანატი;
 - გ) დეპარტამენტები.
 - დ) დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

3. სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტზე არსებული დეპარტამენტები და მათი პროგრამული მიმართულებები.
4. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადასრულებენ ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.
5. სასწავლო, სამეცნიერო-კლინიკური სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტები და შესაბამისი პერსპექტიული პროგრამები; აწარმოოს ექსპერიმენტული და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები სხვა, მათ შორის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს კლინიკურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა.
6. სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.
7. ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას კვლევითი ლაბორატორია, კლინიკა ან სხვა სტრუქტურული ერთეული, რომელთა საქმიანობა რეგულირდება, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით; ფაკულტეტზე ასევე შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა კომისიები და სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა შესწავლის ან გადაწყვეტის მიზნით.
8. ფაკულტეტს მართავს:
 - ა) ფაკულტეტის საბჭო;
 - ბ) ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

- ა) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს. შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;
- ბ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 6. კვორუმი და გადაწყვეტილების მიღება

1. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი.
3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა და კენჭისყრა არის საჯარო, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

1. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.
2. ოქმს ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მდივანი.

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი

მედიცინის ფაკულტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი და წარმოადგენს მას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში.

1. უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;
2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე; ახდენს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ვიზირებას;
3. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
4. უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულ შესრულებებს, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს, სტუდენტთა პრაქტიკებს;
5. ხელმძღვანელობს სასწავლო მეცადინეობების ცხრილების შედგენას და აწარმოებს კონტროლს მათ შესრულებაზე;
6. ინახავს ყველა საჭირო დოკუმენტაციას არქივში ჩაბარებამდე;
7. ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა მომზადებას უნივერსიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
8. ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 9. დეკანატი

1. ფაკულტეტის დეკანატი წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება დეკანს. ფაკულტეტის დეკანატი ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის დაგეგმვას, ორგანიზაციას და კონტროლს.

დეკანატის ფუნქციებში შედის:

- ა) სასწავლო განრიგისა და სწავლების პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება.
- ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და ფაკულტეტზე მიმდინარე ყველა სახის სასწავლო პროცესის აღრიცხვა და კონტროლი.
- გ) ფაკულტეტის სტუდენტთა აღრიცხვა, სტუდენტთა პირადი საქმეების შედგენა და დოკუმენტაციის კონტროლი.
- დ) ფაკულტეტის განვითარების პერსპექტივებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის გეგმების შემუშავება.
- ე) კურსდამთავრებულთა პირადი საქმის აკინძვა და არქივში ჩაბარება;
- ვ) სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეპარტამენტები

1. დეპარტამენტი წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დანაყოფს, რომელიც ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ (კლინიკურ, ლაბორატორიულ და სხვა) მუშაობას.

2. სასწავლო დეპარტამენტის ფუნქციებია:

- სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის შემუშავება;
- სასწავლო პროცესის წარმართვა;
- მეთოდური რეკომენდაციების და სახელმძღვანელოების მომზადება;
- სამეცნიერო პროექტების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით;

3. ფაკულტეტის დეპარტამენტები:

- მედიკო-ბიოლოგიური დეპარტამენტი;
- კლინიკურ დისციპლინათა დეპარტამენტი;
- მორფოლოგიის დეპარტამენტი;
- პათოლოგიის დეპარტამენტი.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

- ა) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას.

- ბ) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების/კურიკულუმების და სილაბუსების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- გ) უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვას;
- დ) ზრუნავს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;
- ე) ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის, სამეცნიერო პროექტების შედგენასა და განხორციელებას;
- ვ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;
- ზ) დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტებს;
- თ) ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებას.
- ი) დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

მუხლი 11. ფაკულტეტის აკადემიური და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
2. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
3. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
5. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
6. აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით არჩევის პირობებსა და კრიტერიუმებს რექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. კონკურსში გამარჯვებულ აკადემიურ პერსონალთან რექტორი აფორმებს ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებს, უმაღლესი განათლებისა და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
8. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები.
 - ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.
 - გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.
9. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლებია:
 - ა) პირადი განცხადება.
 - ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

- გ) უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების უხეში ან სისტემატური დარღვევა.
- დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

10. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: დეკანი, დეკანის მოადგილეები.

11. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პერსონალი.

12. ფაკულტეტის პერსონალის წახალისებასთან და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 12. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამა

1. მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

1.1. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) – 360 კრედიტი ECTS-ის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – დიპლომირებული მედიკოსი;

1.2. საგანმანათლებლო პროგრამა ერთსაფეხურიანია, ნაწილობრივ ინტეგრირებული და გათანაბრებულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან;

2. სწავლების პერიოდში კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისება ხდება ყოველდღიური ლექციების, პრაქტიკული, სემინარული, კურაციული, ჯგუფში მეცადინეობების სახით.

3. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და უცხოელი კონსულტანტები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

ა) პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში შედის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება და შეფასებაში მონაწილეობის მიღება. სტუდენტთა კონსულტირება და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა პროგრამის განხორციელების ფარგლებში.

ბ) პროგრამის თანახელმძღვანელი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების ფარგლებში იღებს მონაწილეობას პროგრამის შემუშავება, განხორციელება და შეფასებაში, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

გ) პროგრამის კონსულტანტები, არიან უცხო ქვეყნის მოქალაქე კოლეგები, რომლებიც კონსულტირებას უწევენ პროგრამას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გაძლიერების კუთხით, სასწავლო მეთოდოლოგიის ან დარგში არსებული სიახლის დანერგვისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით.

მუხლი 13. ფაკულტეტის სტუდენტი, მისი უფლებები და მოვალეობები

1. ფაკულტეტის სტუდენტის სტატუსის მფლობელია პირი, რომელიც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით.

ფაკულტეტის სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და წინამდებარე დებულებით.

2. სტუდენტი ვალდებულია:

- ა) ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და წინამდებარე დებულება;
- გ) სტუდენტი ვალდებულია დადგენილი წესით და ვადებში გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლის საფასური, ან დაფაროს განსხვავება სახელმწიფო გრანტსა და დადგენილ სწავლის საფასურს შორის;
- დ) შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- ე) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ ქონებას;
- ვ) ზრუნავდეს უნივერსიტეტის კეთილდღეობასა და წარმატებაზე.
- ზ) რეგულარულად დაესწროს მეცადინეობებს (ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს).

3. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებში;
- გ) ისარგებლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოს მუშაობაში;
- ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და ადმინისტრირების შესახებ;
- ვ) მიიღოს ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ზ) პერიოდულად მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;
- თ) საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესის შესაბამისად აიღოს აკადემიური შვებულება;
- ი) დააფუძნოს ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში;
- კ) საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა.

4. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების, სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მობილობის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

მუხლი 14. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილ ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და თავისი დებულების მიხედვით, რომლის საფუძველზეც:

ა) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო პროცესის შემდგომი დახვეწის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

დ) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს;

ვ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ფაკულტეტის საქმიანობის, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;

ზ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებაში;

თ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან.

ი) ადმინისტრაციას მიმართავს შუამდგომლობებით შეღავათების გაწევისა და სწავლების ინდივიდუალურ პროგრამაზე გადაყვანის შესახებ;

2. ფაკულტეტის ადმინისტრაცია არ ერევა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 15. სასწავლო პროცესი

1. სასწავლო პროცესი მოიცავს ყველა სახის სასწავლო-მეთოდური სამუშაოს დაგეგმვას, ორგანიზაციას და ჩატარებას, სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის ათვისების მიმდინარე და დასკვნით მონიტორინგს. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და მიმდინარეობა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტი წესდებას, შინაგანაწესს და წარმოდგენილ დებულებას.

2. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტებია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები), რომელთა შემუშავება და მუდმივი განახლება ხდება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის და კურსდამთავრებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება ESTC-ის სისტემის საშუალებით. მონიტორინგის ფორმა ყველა საგანში ან მის ნაწილებში განისაზღვრება სასწავლო კურსის პროგრამით - სილაბუსით და ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის მართვის გაუმჯობესებას, სასწავლო და კვლევითი მუშაობის სტიმულირებას, მეცადინეობების ჩატარების მეთოდის სრულყოფას და სასწავლო კურსების მიზნის მიღწევის ხარისხის შემოწმებას. სტუდენტი ვალდებულია გამოცდები ჩააბაროს დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში.
4. ფაკულტეტზე აკადემიური წელი ორ სემესტრიანია.
5. სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დააგროვოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა და მობილობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე.
7. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების და სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი და უწყდება სტუდენტის სტატუსი. დიპლომთან ერთად კურსდამთავრებულს ეძლევა დიპლომის დანართი, რომელსაც დიპლომის გარეშე ძალა არ აქვს.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

ფაკულტეტის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე.